

სალექციო კურსი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები ფასს (IFRS)

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ახალი კანონის მიხედვით, კომპანიებს უჩნდებათ ვალდებულება აუდიტორულად დაამოწმონ ფასს-ის (IFRS) შესაბამისად მომზადებული თავიანთი ფინანსური ანგარიშგება. აღნიშნული ვალდებულების დადგომა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ფინანსების სფეროში მოღვაწე პირებისთვის ფასს (IFRS) ცოდნისა და გამოყენების უნარების ქონას.

ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად FMG აკადემია და ევროკავშირი საქართველოს ბიზნეს საბჭო (EUGBC) გთავაზობთ ფასს (IFRS) სალექციო კურსს, რომელიც აერთიანებს თეორიას და პრაქტიკული მაგალითებს ჩვენი აუდიტორების ფაქტიური გამოცდილებიდან.

კურსი გამიზნულია ფინანსურ სფეროში მომუშავე პირებისთვის - ბუღალტრები, აუდიტორები, ფინანსისტები და ა.შ.

სალექციო კურსი შედგება 20-25 ლექციისგან, თითოეული 2 საათის ხანგრძლივობის. რეგისტრაციის ღირებულება 650 ლარი (დღგ-ს გარეშე). ერთი კომპანიიდან ორი ან მეტი თანამშრომლის რეგისტრაციის შემთხვევაში იმოქმედებს ფასდაკლება 10%. EUGBC წევრებისთვის იმოქმედებს დამატებითი ფასდაკლება 10%.

მონაწილეები მიიღებენ FMG აკადემიის შესაბამის სერტიფიკატს.

სტანდარტების ჩამონათვალი

ფინანსური მართვის ჯგუფი

საუნივერსიტეტო კურსი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები ფასს (IFRS)

ბასს (IAS) 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა
ბასს (IAS) 7 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება
ბასს (IAS) 16 - ძირითადი საშუალებები
ბასს (IAS) 23 - სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები
ფასს (IFRS) 1 - ფასს-ის პირველად გამოყენება
ბასს (IAS) 34 - შუალედური ფინანსური ანგარიშგება
ბასს (IAS) 38 - არამატერიალური აქტივები
ბასს (IAS) 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები
ბასს (IAS) 17 - იჯარა
ფასს (IFRS) 5 - გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები
ბასს (IAS) 2 - სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
ბასს (IAS) 10 - საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები
ბასს (IAS) 37 - ანარცხები, პირობითი ვალდებულებები, და პირობითი აქტივები
ბასს (IAS) 21 - უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები
ბასს 20 სახელმწიფო გრანტების ბუღალტრული აღრიცხვა
ფასს (IFRS) 15 - მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები
ფასს (IFRS) 13 - რეალური ღირებულების შეფასება
ბასს (IAS) 36 - აქტივების გაუფასურება
ბასს (IAS) 40 - საინვესტიციო ქონება
ბასს 41 ბიოლოგიური აქტივები
ფასს (IFRS) 10 - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
ფასს (IFRS) 11 - ერთობლივი საქმიანობა
ბასს (IAS) 28 - ინვესტიციები მეკავშირე და შვილობილ საწარმოებში
ფასს (IFRS) 3 - საწარმოთა გაერთიანება
საგადასახადო საკითხების, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის მიმოხილვა

ფინანსური მართვის ჯგუფი

ლექციებს წაუძღვებიან მოწვეული ლექტორები. წარმოგიდგენთ მოკლე ინფორმაციას მათი გამოცდილების შესახებ.

ლევან გუჯაბიძე

ლევანს წარჩინებით აქვს დამთავრებული თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა ინსტიტუტის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ფაკულტეტი, არის ოქსფორდ ბრუქსის უნივერსიტეტის გამოყენებითი ბუღალტერიის ბაკალავრი და უელსის უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი.

აქვს 19 წლიანი სამუშაო გამოცდილება ფინანსების, პროექტის მართვისა და ზოგადი მენეჯმენტის მიმართულებით. ლევანს უმუშავია როგორც კერძო, ისე საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებში. კითხულობს ლექციებს ფინანსებთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემაზე. კარიერის მანძილზე უმუშავია ფინანსთა სამინისტროში, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში, გაეროს განვითარების პროგრამაში, სადისტრიბუციო კომპანიაში, თბილისის მერიის ძველი თბილისის რაიონის გამგეობაში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის ფინანსურ აუთსორსში და ა.შ.

ლევანი არის ACCA წევრი და CMI მიერ სერტიფიცირებული მენეჯერი.

ფინანსური მართვის ჯგუფი

მიხეილ მუმლაძე

მიხეილის პროფესიული კარიერა მოიცავს 10 წლიან სამუშაო გამოცდილებას ფინანსებში, ბუღალტერიაში, ბიზნეს და საინფორმაციო ტექნოლოგიების კონსალტინგში.

მიხეილი მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში და ასევე საჯარო სექტორში. მისი გამოცდილება მოიცავს მუშაობას წარმოების მიმართულებით ასევე ენერჯეტიკის სექტორში.

2017 წლიდან მიხეილი კითხულობს სალექციო კურსს IFRS სტანდარტები პროფესიონალი ბუღალტრებისთვის.

მიხეილი ფლობს მაგისტრის ხარისხს ბიზნესის სისტემების ანალიზსა და დიზაინში - City University London. ასევე, ACCA-ის უმაღლეს დიპლომს აღრიცხვასა და ბიზნესის ადმინისტრირებაში.

ალექსანდრე კაჭარავა

ალექსანდრეს აქვს დამთავრებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ეკონომიკის ფაკულტეტი, მიღებული აქვს ევროკავშირის სტიპენდია Erasmus Mundus Infinity და მიენიჭა პორტუგალიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრის ხარისხი.

აქვს გამოცდილება აუდიტის, ბუღალტერიის და ფინანსების მიმართულებით სხვადასხვა სფეროში როგორცაა ავტოსპორტი, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, წარმოება და სხვა.

ამავდროულად არის ACCA -ის სტუდენტი, ფუნდამენტალური დონის კურსდამთავრებული.